სოციალური პროექტი ,,ვემსახურები საქართველოს!“

სსიპ წალენჯიხის მუნიციპატიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის X-XI კლასებში დავგეგმე სოციალური პროექტი ,,ვემსახურები საქართველოს“. გადავწყვიტე მოსწავლეები გამეყვანა საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთ სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადის სამხედრო ბაზაზე.

მიზანი:

- **საზ.მეც.დაწყ.(I).1.** საკუთარი თავის აღქმა საზოგადოებრივი ჯგუფების - ოჯახის, სამეგობროს, სკოლის, თემის - წევრად;
- **საზ.მეც.დაწყ.(I).2.** საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ ზრუნვა-პატივისცემის გამოვლენა;
- **საზ.მეც.დაწყ.(I).4**. ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები);
- **საზ.მეც.დაწყ.(I).7.** სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;

ამის შესახებ წინასწარ მივწერე რესურსცენტრს, რომელმაც გადაგვამისამართა საქართველოს სოციალური მხარდაჭერის უფროსთან, ქალბატონ ლელა ჯიშკარინთან, რომელმაც დაგვაკავშირა ვიცე-პოლკოვნიკ, ბიძინა ჩიხლაძესთან, რომელმაც დაგეგმა ჩვენი ერთი დღე ბაზაზე.

მათ მოსწავლეებს დაახვედრეს დროში გაწერილი ორგანიზებული აქტივობები:

- ✓ **სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ჯარისკაცების მიერ აგებული ტაძრის მოლოცვა.**
- ✓ **გმირთა მემორიალის დათვალიერება და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის მოსმენა.**
- ✓ **აქვე განთავსებული მუზეუმის დათვალიერება და ხელმძღვანელობის ლექცია.**
- ✓ **ბაზის სპორტული მოედნებისა და მიღწევების კუთხის დათვალიერება.**
- ✓ **ჯარის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ლექცია.**
- ✓ **სამხედრო ტექნიკისა და იარაღის დათვალიერება.**
- ✓ **სამხედრო ტექნიკით გასეირნება.**
- ✓ **ჯარისკაცებთან ერთად სადილის მირთმევა.**
- ✓ **საერთო სიმღერის შესრულება.**

მოსწავლეებმა მოილოცეს ტაძარი, დაათვალიერეს იქ განთავსებული გმირების ფოტოები, რომელთა ხსოვნასაც მიეძღვნა ეს ტაძარი, დაანთეს სანთლები,იგალობეს, მოისმინეს წინამძღვრის, მამა იოსების ქადაგება.
ყვავილებით შეამკეს გმირთა მემორიალი და მოისმინეს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.
გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები ჯარისკაცებთან.
შემდეგ ხელმძღვანელობამ მიგვიწვია ეზოში არსებულ მუზეუმში, სადაც განთავსებული იყო მთლიანი ბაზის მაკეტი, რომელიც ჯარისკაცის მიერ იყო შესრულებული. აქ ერთ-ერთმა ლეიტენანტმა ჩაატარა ლექცია და მოსწავლეებს კიდევ ერთხელ შეახსენა გმირი ქართველების სახელები და ისტორია, რაც იყო მეტად ემოციური და შთამბეჭდავი, მოსწავლეებმა დაათვალიერეს გმირთა ფოტოები, ომის კადრები...
მოსწავლეებს და პედაგოგებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. (შინდისის გმირების ფოტოები).
შემდეგ დაათვალიერეს ჯარისკაცები სავარჯიშო და სპორტული სივრცეები (საცურაო აუზი, წარმატებების კედელი, სადაც გამოფენილი იყო სპორტულ შეჯიბრებებზე მოპოვებული თასები და მედლები, მათ შორის ძალიან შთამბეჭდავი, გიორგი ანწუხელიძის სახელობის გარდამავალი თასი, ფიტნესი,) გამოსცადეს ზოგიერთი სპორტული სავარჯიშო, რომლებიც ძალიან მოეწონათ.
დაათვალიერეს ჯარისკაცების საცხოვრებელი ადგილი. შემდეგ გავიდნენ მოედანზე, სადაც საგანგებოდ იყო გამოფენილი სხვადასხვა საბრძოლო აღჭურვილობა, იარაღები და ტექნიკა. მოსწავლეებს უშუალო შეხების საშუუალება მიეცათ ამ ნივთებთან, მათ ჯარისკაცები უწევდნენ დახმარებას და უტარებდნენ მინი ლექციას.
შემდეგ დაათვალიერეს სამხედრო ტექნიკა, მოსინჯეს საჭე, განსაკუთრებულად მოეწონათ სამხედრო ტექნიკა ,,დიდგორი“, რამაც დიდი სიამაყე გამოიწვია მოსწავლეებში.
შემდეგ აღტაცებულ მოსწავლეებს შესთავაზეს სამხედრო ტექნიკით გასეირნება, აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვა, ყველა მოსწავლე ჩაცმული იყო შესაბამისად, მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების ბრიგადა.
შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე, სადაც ჯარისკაცებთან ერთად სიმღერაც შემოვძახეთ.
სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოსწავლეთა გადაადგილება, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ.

მოსწავლეები აღტაცებას ვერ მალავდნენ, მათ ეს ემოცია მიცემულ ინტერვიუებშიც აღწერეს.
პროცესი იყო აბსულუტურად ორგანიზებული, ყველა დეტალი გათვლილი, რისთვისაც მადლობას ვუხდით საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთ სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადის სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობას, ბატონებს:

ვიცე-პოლკოვნიკ ბიძინა ჩიხლაძეს,
მთავარ სერჟანტ ვეფხის ფერცვლიანს,
მასტერ სერჟანტ დათო მოსიავას,
სერჟანტ შავლეგო თირქიას
და ბაზის სულიერ მოძღვარს მამა იოსებს

და თითოეულ ჯარისკაცს, რომლებმაც საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს მოსწავლეებს და დაანახეს, თუ როგორია ჯარისკაცის ცხოვრების ერთი დღე.

15 ივლისს ისინი სამხედრო ბაზის იუბილეს აღნიშნავენ, მინდა ჩვენი სკოლისა და მოსწავლეების სახელით მივულოცო მათ ეს მნიშვნელოვანი დღე, სიყვარულითა და პატივისცემით, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, მშვიდობა და კეთილდღეობა.
კიდევ ერთხელ მადლობა, ღირსეული ქართული ჯარის ხელმძღვანლებს და თითოეულ ჯარისკაცს.
ჩვენ ყველანი ერთად, როგორადაც ძალგვიძს, **,,ვემსახურებით საქართველოს!**

პროექტის ხელმძღვანელი: **მარინა რუხაია**